საკრედიტო ხელშეკრულება #XXXX დანართი
მსესხებლის სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა

1. მიკრობანკი (დამზღვევი) კისრულობს ვალდებულებას #XXX საკრედიტო ხელშეკრულების (შემდგომში „საკრედიტო ხელშეკრულება“) მოქმედების განმავლობაში დააზღვიოს მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც გამოწვეულია მსესხებლის გარდაცვალებით (სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა), მსესხებლის ხარჯით.
1.1 დაზღვეული/სადაზღვევო თანხები:
- XXX პ/ნ XXX - სიცოცხლის საკრედიტო რისკის დაზღვევის სადაზღვევო თანხა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის XX %-ით ;
- XXX პ/ნ XXX - სიცოცხლის საკრედიტო რისკის დაზღვევის სადაზღვევო თანხა განისაზღვრება სადაზღვევო თანხის XX %-ით ;
1.2. თითოეული მსესხებლის სიცოცხლე დაზღვეული იქნება სესხზე მისი წილის პროპორციული სადაზღვევო თანხის ფარგლებში და მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი სადაზღვევო თანხაც განისაზღვრება აღნიშნულის შესაბამისად, კერძოდ, წინამდებარე დანართის 1.1 პუნქტში მითითებული პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით.
2. მზღვეველად განისაზღვრება სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ (ს/კ 204919008) ხოლო მოსარგებლედ (სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი) - სს ,,მიკრობანკი კრისტალი“ (ს/კ 212896570).
3. მსესხებელი უფლებას აძლევს მიკრობანკსა და მზღვეველს, მისი დამატებითი თანხმობის გარეშე, მიიღოს, მოიპოვოს, დაამუშავოს, მესამე პირისაგან გამოითხოვოს ან/და მას გადასცეს მსესხებლის ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, ისევე როგორც სრულად და შეუზღუდავად ისარგებლონ დაზღვევიდან გამომდინარე მინიჭებული სხვა უფლებამოსილებით, დაზღვევის სრულყოფილად განხორციელებისა და სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების მიზნებისათვის. მიკრობანკი ასევე უფლებამოსილია მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში მიაწოდოს მზღვეველს საკრედიტო ხელშეკრულება და სასესხო ამონაწერი.
4. მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებადი სადაზღვევო თანხა მოიცავს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღისათვის სესხის დაუფარავ ძირითადი თანხას. ამასთან სადაზღვევო ანაზღაურების თანხა არ მოიცავს საპროცენტო სარგებელს, პირგასამტეხლოს და რაიმე სხვა ხარჯს.
5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე / გარდაცვალებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა, სავალდებულოა გაკეთდეს შეტყობინება შემდეგ საკომუნიკაციო ტელეფონ(ებ)ზე: (მოსარგებლე/დამზღვევი) სს მიკრობანკი „კრისტალი“ - +995 32 2022020 და წარდგენილი იქნას შემდეგი აუცილებელი დოკუმენტაცია:
5.1. მსესხებლის გარდაცვალების მოწმობა (ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკრედიტო ვალდებულებაზე მსესხებლის სიცოცხლის საკრედიტო რისკის დაზღვევის შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ გარდაცვალების მოწმობის წარმოდგენა, თუ სადაზღვევო ანაზღაურება არ აღემატება 6000 (ექვსი ათასი) ლარს 56 (ორმოცდათექვსმეტი) წლის ასაკამდე პირების შემთხვევაში ან 3000 (სამი ათასი) ლარს 56-დან 66 (სამოცდაექვსი) წლის ასაკამდე პირების შემთხვევაში (მითითებული ასაკები გულისხმობს მსესხებლის ასაკს გარდაცვალების მომენტში)).
5.2. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული, უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი და ხელმოწერილი, ცნობა მსესხებლის გარდაცვალების შესახებ - ფორმა N106ს-4, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მსესხებლის გარდაცვალების კონკრეტული დადგენილი მიზეზი, გარდაცვალების თარიღი, ადგილი და მსესხებლის ასაკი; ხოლო თუ წინამდებარე ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობა არ შეიცავს ამავე ქვეპუნქტში მითითებულ ინფორმაციას, დამატებით, წარმოდგენილ უნდა იქნას ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებული იქნება აღნიშნული ინფორმაცია;
5.3. უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში, დამატებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;

5.4. თუ მსესხებლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დამატებით ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ და მსესხებლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);

5.5. კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე მზღვეველის მიერ მოთხოვნილი, სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.

6. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრული ან/და ხარვეზიანია, მზღვეველი განსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას, მაგრამ არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა და არაუმეტეს 6 (ექვსი) თვისა (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, რომელთან დაკავშირებითაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მზღვეველის მიერ დაწესებული ვადის განმავლობაში არ შეწყვეტილა გამოძიება ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება), ხარვეზის გამოსასწორებლად და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარსადგენად.

7. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე მზღვეველი გადაწყვეტილებს იღებს მისთვის დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს ობიექტური გარემოების არსებობისას, მაგრამ ჯამში უნდა შეადგინოს არაუმეტეს 60 (სამოცი) კალენდარული დღე.

8. სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველის მიერ გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დამზღვევის ინფორმირებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დამზღვევს წარუდგენს დასაბუთებულ უარს წერილობითი ფორმით.

9. დაზღვევის გამონაკლისი (არაანაზღაურებადი) პირობები/შემთხვევები:
სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, როდესაც მსესხებლის გარდაცვალება პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებით:

9.1. ომით, დაპყრობით, საომარი მოქმედებებით (მიუხედავად ომის გამოცხადებისა თუ გამოუცხადებლობისა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, გაფიცვით, ნებისმიერი პირის ქმედებით, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს De Jure ან De Facto ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;

9.2. მაიონიზირებელი გამოსხივებით, გარემოს რადიაქტიური დაბინძურებით, ბირთვული საწვავის აალებით;

9.3. მსესხებლის ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნით;

9.4. თუ მსესხებელი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მართავდა ავტოსატრანსპორტო საშუალებას და ადგილი ჰქონდა ავტოსაგზაო შემთხვევას ან თუ მსესხებლის მიერ მიღებული ალკოჰოლის ზემოქმედებამ გამოიწვია არსებული დაავადების გამწვავება, რაც გახდა მსესხებლის გარდაცვალების მიზეზი;

9.5. მსესხებლის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობით ან თვითმკვლელობის მცდელობით, განზრახ თვითდაზიანებით;

9.6. მსესხებლის მკვლელობით, მკვლელობის მცდელობით ან სხეულის/ჯანმრთელობის დაზიანებით, რომლის პირდაპირ, თუ არაპირდაპირ მონაწილედ გვევლინება დამზღვევი ან/და სესხის სხვა მსესხებლები ან/და მსესხებლის მემკვიდრეები;

9.7. მსესხებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით ან მისი ჩადენის მცდელობით;

9.8. მსესხებლის შიდსით ან HIV-ით ინფიცირებით;

9.9. მსესხებლის ფსიქიკური ავადმყოფობით ან გონების დაბინდვით;

9.10. მსესხებლის მონაწილეობით სამხედრო ან საპოლიციო ოპერაციის ჩატარებაში;

9.11. მსესხებლის მონაწილეობით სიჩქარეზე შეჯიბრში ნებისმიერი სახმელეთო, საჰაერო ან საწყალოსნო საშუალებების გამოყენებით;

9.12. მსესხებლის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;

9.13. მსესხებლის მიერ სანაძლეოს პირობების შესრულებით, აკრობატული ილეთების შესრულებით, რეკორდის დამყარებით ან ამის მცდელობით;

9.14. მსესხებლის მონაწილეობით პროფესიული სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, წვრთნა, საჩვენებელი გამოსვლა);

9.15. მსესხებლის მონაწილეობით შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია;

9.16. მსესხებლის გარდაცვალება გამოწვეულია დაზღვევის მომენტიდან პირველი 12 თვის განმავლობაში შემდეგი მძიმე დაავადებებით: ავთვისებიანი სიმსივნე, ღვიძლის ფიბროზი ან ციროზი, ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა, ჰეპატიტი C, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, გულის ქრონიკული უკმარისობა, გულის თანდაყოლილი ანომალიები, შაქრიანი დიაბეტი ან მისი გართულება, უშაქრო დიაბეტი ან მისი გართულება, ცერებროვასკულარული დაავადებები (გარდა ინსულტის პირველადი შემთხვევისა). აღნიშნულ დაავადებათა ჯგუფში შემავალი დაავადებები განისაზღვრება ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მეათე გადახედვის მიხედვით;

10. თუ გარდაცვლილი მსესხებლის საკრედიტო დავალიანება დამზღვევის მიმართ გამომდინარეობს ქონებით უზრუნველყოფილი სესხ(ებ)იდან, სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა გარდაცვლილი მსესხებლის ასაკის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად თითოეული მსესხებლისათვის (და არა სესხისათვის):

N	მსესხებლის ასაკი (გარდაცვალების მომენტში)	სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა (ლარი)
1	ნაკლებია 56-ზე	250,000.00 (ორასორმოცდაათი ათასი)
2	ტოლია ან მეტია 56-ზე და ნაკლებია 66-ზე	90,000.00 (ოთხმოცდაათი ათასი)

11. თუ გარდაცვლილი მსესხებლის საკრედიტო დავალიანება დამზღვევის მიმართ გამომდინარეობს ქონებით არაუზრუნველყოფილი სესხ(ებ)იდან, სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა გარდაცვლილი მსესხებლის ასაკის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად თითოეული მსესხებლისათვის (და არა სესხისათვის):

N	მსესხებლის ასაკი (გარდაცვალების მომენტში)	სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა (ლარი)
1	ნაკლებია 56-ზე	80,000.00 (ოთხმოცი ათასი)
2	ტოლია ან მეტია 56-ზე და ნაკლებია 66-ზე	35,000.00 (ოცდათხუთმეტი ათასი)

12. თუ გარდაცვლილი მსესხებლის საკრედიტო დავალიანება დამზღვევის მიმართ გამომდინარეობს როგორც უზრუნველყოფილი სესხ(ებ)იდან, ასევე, არაუზრუნველყოფილი სესხ(ებ)იდან, სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა გარდაცვლილი მსესხებლის ასაკის გათვალისწინებით, განისაზღვრება თითოეული სესხის კატეგორიაში დამოუკიდებლად წინამდებარე დანართის მე-11 და მე-12 პუნქტებით, თითოეული მსესხებლისათვის (და არა სესხისათვის).

13. დაზღვევა წყდება შემდეგ შემთხვევებში:

13.1. მსესხებლის გარდაცვალებითა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით ან შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმით;

13.2. მსესხებლის მიერ 66 (სამოცდაექვსი) წლის ასაკის მიღწევისთანავე;

13.3. საკრედიტო ვალდებულების სრულად ვადაში ან ვადამდე წინსწრებად დაფარვით;

13.4. დამზღვევის მიერ ვადამოსული საკრედიტო დავალიანების არ გადახდის შემთხვევაში, მისი წარმოშობიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის გასვლისთანავე.

14. მზღვეველის საზედამხედველო ორგანოა სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, მდებარე: თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. #3.

15. წინამდებარე დანართზე ხელმოწერით მსესხებელი ადასტურებს, რომ გაეცნო სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის პირობებს დეტალურად და ეთანხმება მათ.